**საქმე № 2/2253-15**

4999990311757

www.info.court.ge

# **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

**კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

28.03.2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ლაშა ქოჩიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განიხილა შ.პ.ს. "წყალკანალი XXI"-ს კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი,

## **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია გადახდისუუნარობის საქმე შ.პ.ს. "წყალკანალი XXI"-ს მიმართ.

სასამართლომ განიხილა საქმეში არსებული მასალები და მიაჩნია, რომ მოწვეული უნდა იქნას შ.პ.ს. "წყალკანალი XXI"-ს კრედიტორთა კრება კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების, გაკოტრების მმართველის დანიშვნის დღის წესრიგით.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 25-ე, 27-ე, 30-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

## **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

**1.** მოწვეული იქნას შ.პ.ს. "წყალკანალი XXI"-ს კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება.

1.2. გაკოტრების მმართველის არჩევა.

**2.** კრედიტორთა კრება მოწვეული იქნას 2019 წლის 23 აპრილს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №63 სხდომათა დარბაზში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

**3.** დაევალოს შ.პ.ს. "წყალკანალი XXI"-ს მეურვეს კრედიტორებისათვის კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებების გაგზავნა, მასვე დაევალოს განჩინების

გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და სასამართლოს ვებგვერდზე.

**4.** გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს განჩინებაზე შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გადაცემიდან ან გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

**მოსამართლე** **ლაშა ქოჩიაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.04.02 15:11:01 +04'00'